# რედაქტორისგან

რედაქციაში მხატვარი მოვიდა.

ასე დავიწყებ ამ წერილს. ამგვარ დასაწყისს ჩემი ბავშვობის დროინდელი ხასიათი ახლავს; „რედაქციაში წერილი მოვიდა“, – ასე იუწყებოდა მაშინ ბეჭდური გამოცემების უმრავლესობა.

მხატვარს დავუბრუნდები. მოვიდა და გვითხრა, რომ სურს, საქართველოში თავისი პირველი პერსონალური გამოფენა მშობლიური სოფლის სკოლაში მოაწყოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავიხარეთ და, როგორც ამბობენ, მხარი დავუჭირეთ და თან გავყევით.

„500 მეტრი ზღვის დონიდან“ – ასე უწოდა მხატვარმა აკაკი გაჩეჩილაძემ ფერწერული ნამუშევრების გამოფენას.

გამოფენას ერთგვარი საგანმანათლებლო და სოციალური აქციის მნიშვნელობა ჰქონდა. საჯარო სკოლა ზესტაფონის რაიონის, სოფელ ზემო წევაში ერთადერთი საზოგადოებრივი სივრცეა, ამიტომ აქ მოწყობილი გამოფენა მოსწავლეებისთვისაც და უფროსებისთვისაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო.

დიდხანს ვფიქრობდი იმ სოფელზე, ადამიანებზე, იქაურ დახვედრაზე, სკოლაზე, მოსწავლეებზე, რომლებსაც ძალიან დიდი მანძილის გავლა უწევთ სკოლაში მისასვლელად და ცოდნის მისაღებად.

მხატვრის სურვილი იყო, საზოგადოებამ და უპირველესად მათ, ვისაც ეს ევალება, დაცლილ სოფლებს მეტი ყურადღება მიაქციონ. ხოლო თუ აქცია გადამდები აღმოჩნდა და მხატვარს სხვა ხელოვანებმაც მიბაძეს და მშობლიურ ადგილებში მსგავსი დღესასწაულები გამართეს, ამით იმ ადამიანებს გაამხნევებენ, ვინც ქართულ სოფელს ინახავს.

სულ ვფიქრობ, ერთხელ ავდგე და ჩემს მშობლიურ სკოლაში მივიდე. დაპატიჟებას რატომ უნდა ველოდო. აკაკის ეს ნაბიჯიც რაღაცნაირად მაქეზებს კიდეც, მაგრამ თავისებური რიდი მაქვს ჩემი მასწავლებლების და იმისიც, რომ ჩემი ყურადღება და მხარდაჭერა მშობლიური სკოლისა და მასწავლებლებისადმი დამიგვიანდა.

**ნატო ინგოროყვა**
*მთავარი რედაქტორი*


# მასწავლებელი

N3(21),2012

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374



**რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

**ნომერზე მუშაობდნენ:** გიორგი ნოზაძე, მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, რუსუდან თაყაიშვილი, მარიკა სიხარულიძე, ანა ჯანელიძე, ნონა ლეიაშვილი, ქეთო ნინიძე, თეო ჭყოიძე, ნათია ნაფეტვარიძე, ქეთევან ჯაყელი, ავთანდილ შურღაია.



ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.



**საკონტაქტო ინფორმაცია:** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

55

## რჩევები

მანანა ბოჭორიშვილი

5 ეფექტური სწავლება და მოსწავლეთა მოტივაცია

მოსწავლის ქცევა, კარგად სწავლა, შესაძლოა სხვადასხვა მოტივით იყოს განპირობებული. ზოგისთვის კარგად სწავლის მოტივია დასჯის შიში, ზოგისთვის – ინტერესი, ზოგისთვის კი – აღიარების მოთხოვნილება.

ანა ჯანელიძე

13 როგორ ვითანამშრომლოთ მშობლებთან

მშობლებთან თანამშრომლობა ბევრი მასწავლებლისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყოს, რადგან მასწავლებლის მხრიდან ის კარგად განვითარებულ საკომუნიკაციო უნარებს მოითხოვს, მშობლის მხრიდან კი – გარკვეულ დროსა და ძალისხმევას.

## პრობლემა

ქეთო ნინიძე

35 ინტერაქცია და ქართულის გაკვეთილები

ქართულის საგნობრივი სტანდარტებიდან გამომდინარე, მოსწავლე უნდა ფლობდეს ცოდნას ავტორის შემოქმედებითი გამოცდილების, ტექსტის ისტორიისა და კულტურული გარემოს შესახებ. მეორე მხრივ, სახელმძღვანელოს ავტორებსა და მასწავლებლებს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი მიზანი არა ლიტერატურათმცოდნის, არამედ მკითხველის აღზრდაა.

## მოსაზრება

თეა ჭყოიძე

9 სოციალური სიზარმაცის ფენომენი

სოციალური სიზარმაცის ფენომენი ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი თავისებურებაა. ის მაშინ იჩენს თავს, როდესაც ერთობლივი მოქმედებისას ჯგუფის წევრები იმაზე ნაკლებ ძალისხმევას იჩენენ, ვიდრე ინდივიდუალური მუშაობის დროს გამოიჩენდნენ.

ნონა ლეიაშვილი

16 ლიტერატურის სწავლების ზოგიერთი თავისებურება სკოლაში და „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“

სკოლაში მხატვრული ლიტერატურის სწავლებისას მრავალი სირთულე იჩენს თავს. ზოგიერთ მათგანს სიტყვაკაზმული მწერლობის თავისებურება განაპირობებს (თავისი სპეციფიკით ის ცალკე დგას სასწავლო საგნებს შორის), ზოგს კი – სწავლების არასწორად შერჩეული სტრატეგიები.

გიორგი ნოზაძე

39 მასწავლებლის ტრადიციული და ინოვაციური როლები

მასწავლებლის ტრადიციული და ფასილიტატორული როლების შეთავსება უდავოდ პროგრესული და მისაღებია. პრობლემები წამოიჭრება მაშინ, როდესაც ამ როლების პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი დგება.

რუსუდან თაყაიშვილი

52 ქართული ცეკვა როგორც სავალდებულო საგანი

როგორც სასწავლო დისციპლინამ, ცეკვამ ბევრი დატვირთვა შეიძინა: იგი ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საშუალებაა, ეროვნულ კულტურას აზიარებს მოსწავლეებს, ამასთან ერთად, მოსწავლეთა ჯანსაღი ფსიქიკური და ინტელექტუალური განვითარების საფუძველსაც წარმოადგენს.

## რეგიონი

ნატო ინგოროყვა

25 როცა შენი საქმე გიყვარს

ახალციხის რაიონის მე-5 საჯარო სკოლა წარმატებული სკოლების ოცეულში მოხვდა. ჟურნალი „მასწავლებელი“ ესტუმრა სკოლას და მასწავლებლებს „წარმატების საიდუმლოზე“ ესაუბრა.

# შინაარსი

## რესურსი

ავთანდილ შურღაია

20 ძალა მექანიკაში

ვინაიდან ძალა ვლინდება სხეულთა ურთიერთქმედების დროს, ის არსებობს მანამდე, სანამ სხეულები ურთიერთქმედებს. ამიტომ სხეულზე მოქმედი ძალების გამოვლენა ურთიერთქმედების სახის დადგენას გულისხმობს.

ნათია ნაფეტვარიძე

42 პოსტმოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა სკოლაში

ჩვენი წერილის მიზანია არა პოსტმოდერნიზმის არსის გაცნობიერება, არამედ იმის გარკვევა, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ პოსტმოდერნისტული ლიტერატურა სასწავლო პროცესში, თუნდაც კლასიკური ლიტერატურის სწავლებისას.

## განთლების ისტორია

თეო ნეფარიძე

31 მითები და ფაქტები მასწავლებლის პროფესიაზე

დღეს, ცოდნის თანამედროვე საზოგადოებაში, ყველა თანხმდება იმაზე, რომ მასწავლებლებს უდავოდ შესწევთ უნარი, დიდი გავლენა მოახდინონ მომავალ თაობებზე და, შესაბამისად, მომავალ საზოგადოებაზეც. მიუხედავად ამისა, მრავალი მითი, მასწავლებლის პროფესიის ჩამოყალიბებამდე რომ არსებობდა, დღესაც არსებობს.

## გლობალური სკოლა

მარიკა სიხარულიძე

49 ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო-დოკუმენტი

ხანგრძლივი მეცნიერული კვლევებისა და მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად ევროსაბჭოს ენობრივი პოლიტიკის განმსაზღვრელმა დეპარტამენტმა სპეციალური დოკუმენტი შეიმუშავა – ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო, რომელმაც უცხოური ენების სწავლებაში ძირეული ცვლილებები გამოიწვია.

## მასწავლებლის სახლი

ბელა ჩეკურიშვილი

55 საკვირაო სკოლების დანიშნულება, სირთულეები და გამოსავალი

ცნება „საკვირაო სკოლა“ დღეს იმ ადგილს გულისხმობს, სადაც ემიგრაციაში წასული ქართველების შვილები ქართულ ენასა და წერა-კითხვას სწავლობენ. 22 ქვეყნის 55 ემიგრანტი მასწავლებლისთვის თბილისის მასწავლებლის სახლში სამდღიანი ტრენინგი გაიმართა.





## პრობლემა

ქეთევან ჯაყელი

46 ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი

მშობელთა და მასწავლებელთა უმეტესობა არ იცნობს ამ სინდრომის მახასიათებელ ნიშნებსა და სიმპტომებს, ამიტომ როდესაც მასწავლებლები მოუსვენარ, უყურადღებო და პრობლემურ მოსწავლეებზე საუბრობენ, შესაძლოა, სწორედ ამ სინდრომთან გვქონდეს საქმე.

ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge


27-30